UNHCR
United Nations High Commissioner for Refugees
Haut Commissariat des Nations Unies pour les réfugiés

"ლტოლვილები" და "მიგრანტები"

ხშირად დასმული კითხვები

1. არის თუ არა ტერმინები „ლტოლვილი" და „მიგრანტი" ურთიერთმონაცვლე?

არა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ გახშირდა მედიასა და საჯარო დისკუსიებში ტერმინების „ლტოლვილი" და „მიგრანტი" ურთიერთ მონაცვლეობით გამოყენება, ამ ორ ტერმინს შორის არის გადამწყვეტი სამართლებრივი განსხვავება. მათ არევას შეუძლია პრობლემები შექმნას ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლებისათვის, ასევე შეუძლია წარმოშვას გაუგებრობები თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხების განხილვისას.

2. რა უნიკალური განმასხვავებელი აქვთ ლტოლვილებს?

ტერმინი ლტოლვილი განსაზღვრული და დაცულია საერთაშორისო სამართალში. ლტოლვილები არიან ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მათი წარმოშობის ქვეყნის გარეთ დევნის, კონფლიქტის, ძალადობის ან სხვა იმ გარემოებების შიშით, რომლებმაც სერიოზულად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და რომელთა შედეგად ისინი საჭიროებენ „საერთაშორისო დაცვას". მათი მდგომარეობა ხშირად იმდენად სახიფათო და გაუსაძლისია, რომ ისინი კვეთენ ეროვნულ საზღვრებს, რათა უსაფრთხოება მოიპოვონ ახლომდებარე ქვეყნებში და შესაბამისად ხდებიან საერთაშორისოდ აღიარებულები, როგორც „ლტოლვილები", რომელთაც ქვეყნების, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის და შესაბამისი ორგანიზაციების დახმარებაზე აქვთ წვდომა. ისინი აღიარებულნი არიან ასე ზუსტად იმიტომ, რომ მათთვის ძალიან სახიფათოა სახლში დაბრუნება და ისინი შესაბამისად საჭიროებენ თავშესაფარს სადმე სხვაგან. ეს არის ხალხი, რომელთათვის თავშესაფარზე უარის თქმას შესაძლოა მოჰყვეს სასიკვდილო შედეგები.

3. როგორ იცავს ლტოლვილებს საერთაშორისო სამართალი?

სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც იცავს ლტოლვილების უფლებებს, ეწოდება „ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა". ამ რეჟიმის საჭიროების საფუძველი არის ის ფაქტი, რომ ლტოლვილები არიან ადამიანები, რომლებიც არიან სპეციფიკურ რთულ სიტუაციაში, რაც საჭიროებს დამატებით დამცავ ზომებს/გარანტიებს. თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები არ არიან დაცულები საკუთარ ქვეყანაში.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლი იცავს ყველას უფლებას, რომ ეძიოს და ისარგებლოს თავშესაფრით. თუმცა, თავშესაფრის ცნებისათვის მკაფიო შინაარსი არ იყო ჩამოყალიბებული საერთაშორისო დონეზე, სანამ 1951 წელს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენცია [„1951 წლის კონვენცია"] არ იქნა მიღებული და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს არ დაევალა მისი აღსრულების ზედამხედველობა. 1951 წლის კონვენცია და მისი

1967 წლის ოქმი, ისევე როგორც რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორიცაა აფრიკული ერთიანობის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენცია, რომელიც განსაზღვრავს ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტულ ასპექტებს აფრიკაში, წარმოადგენენ ლტოლვილთა დაცვის თანამედროვე რეჟიმის ქვაკუთხედს. ისინი აყალიბებენ ლტოლვილის უნივერსალურ დეფინიციას და აერთიანებენ ლტოლვილების ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს.

1951 წლის კონვენციის მუხლები რჩება უმთავრეს საერთაშორისო სტანდარტად, რომლებთან მიმართებაშიც განიხილება ლტოლვილების დაცვისა და მათთან მოპყრობის ნებისმიერი ზომა. 33-ე მუხლში შესული მისი ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება, გაუძევებლობის პრინციპი (იძულებით დაბრუნების აკრძალვა), არის რეჟიმის საფუძველი. ამ პრინციპის თანახმად ლტოლვილები არ უნდა იქნან გაძევებულ ან არ უნდა დაუბრუნდნენ გარემოს, სადაც მათი სიცოცხლე ან თავისუფლება იქნება საფრთხის ქვეშ. სახელმწიფოებს ეკისრებათ უმთავრესი პასუხისმგებლობა მათ დაცვაზე. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი მჭიდროდ თანამშრომლობს მთავრობებთან, საჭიროების მიხედვით აძლევს რჩევებს და უჭერს მხარს, რათა მათ შეასრულონ საკუთარი მოვალეობები.

4. უნდა გადაიხედოს თუ არა 1951 წლის კონვენცია?

1951 წლის კონვენციამ და მისმა 1967 წლის ოქმმა გადაარჩინეს მილიონობით სიცოცხლე და შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ ადამიანის უფლებების საკვანძო ინსტრუმენტებს, რომლებსაც ჩვენ ვეყრდნობით დღეს-დღეობით. 1951 წლის კონვენცია არის კაცობრიობის წინ გადადგმული ნაბიჯი მოსახლეობის მასობრივი გადაადგილებების ფონზე, რომლის მაშინდელი მასშტაბები დღევანდელს აჭარბებდა. მისი არსით, 1951 წლის კონვენცია წარმოადგენს ფუნდამენტურ ჰუმანიტარულ ღირებულებებს. მან ნათლად მოახდინა ცვლადი ფაქტობრივი პირობების მიმართ ადაპტირებულობის დემონსტრირება და აღიარებულ იქნა სასამართლოების მიერ, როგორც არსებული ინსტრუმენტი, რომელსაც ძალუძს ლტოლვილების დაცვის უზრუნველყოფა ცვლად გარემოში. ლტოლვილთა დაცვის უმთავრესი გამოწვევა არის არა თავად 1951 წლის კონვენცია, არამედ სახელმწიფოების მიერ მისი შესრულების უზრუნველყოფა. რეალური საჭიროება არის უფრო ეფექტური გზების გამონახვა, რათა მოხდეს მისი საერთაშორისო თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის გაზიარების სულისკვეთებით იმპლემენტაცია.

5. შესაძლებელია თუ არა, რომ „მიგრანტი“ გამოყენებულ იქნას, როგორც ზოგადი ტერმინი, რომელიც ასევე მოიცავს ლტოლვილებს?

ტერმინის „მიგრანტი“ ერთიანი სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს საერთაშორისო დონეზე.[1] ზოგი პოლიტიკოსი, საერთაშორისო ორგანიზაცია და მედია იგებს და შესაბამისად

[1] გაეროს 1990 წლის კონვენცია ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ განსაზღვრავს ტერმინს „მიგრანტი მუშაკი“. იხ. ასევე ILO-ს 1975 წლის კონვენცია შეურაცხმყოფელ პირობებში მიგრაციისა და მიგრანტ მუშაკთა თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის ხელშეწყობის შესახებ (No. 143) და ILO-ს 1979 წლის

იყენებს ტერმინს „მიგრანტი“, როგორც ყოვლისმომცველ ტერმინს, რომელიც მოიცავს მიგრანტებსა და ლტოლვილებს. მაგალითად, საერთაშორისო მიგრაციის გლობალური სტატისტიკა ჩვეულებრივ იყენებს დეფინიციას „საერთაშორისო მიგრაცია“, რომელიც მოიცავს ბევრ თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა მოძრაობებს.

თუმცა, საჯარო დისკუსიაში ამ პრაქტიკამ შესაძლოა ადვილად მიგვიყვანოს გაურკვევლობამდე და ასევე, შესაძლებელია იქონიოს სერიოზული შედეგები ლტოლვილთა სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე. „მიგრაცია“ ხშირად გაგებულია, როგორც ნებაყოფლობითი პროცესის აღმნიშვნელი, მაგალითად, ვიღაც, რომელიც კვეთს საზღვარს უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობებისათვის. ეს ასე არ არის ლტოლვილების შემთხვევაში, რომელთაც არ შეუძლიათ დაბრუნდნენ სახლში უსაფრთხოდ და შესაბამისად, ეკუთვნით სპეციფიკური დაცვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

ტერმინების „ლტოლვილები“ და „მიგრანტები“ არევა იწვევს ყურადღების გადატანას ისეთი სპეციფიკური სამართლებრივი დაცვისაგან, რომელსაც საჭიროებენ ლტოლვილები, მაგალითად, როგორიცაა დაცვა იძულებით გაძევებისაგან და უსაფრთხოების ძიებაში საზღვრის უნებართვოდ გადაკვეთისათვის დასჯისაგან. არ არის არაფერი არალეგალური თავშესაფრის ძიებაში - პირიქით, ეს ადამიანის უნივერსალური უფლებაა. „ლტოლვილებისა“ და „მიგრანტების“ გაერთიანებას შეუძლია ლტოლვილთა და თავშესაფრის ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერისათვის ძირის გამოთხრა იმ დროს, როცა გაცილებით უფრო მეტ ლტოლვილს ესაჭიროება დაცვა ვიდრე ოდესმე.

ჩვენ ყველა ადამიანს უნდა მოვეპყროთ პატივისცემითა და ღირსების დაცვით. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ მიგრანტების უფლებები იყოს დაცული. ამავე დროს, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება ლტოლვილებისათვის მათი კონკრეტული რთული მდგომარეობის გამო და რათა თავიდან ავიცილოთ სახელმწიფოების მხრიდან მათ მიმართ პასუხისმგებლობის შესუსტება. ამ მიზნით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი ყოველთვის ცალ-ცალკე განიხილავს „ლტოლვილებსა“ და „მიგრანტებს“, რათა შეინარჩუნოს სიცხადე ლტოლვილთა გადაადგილებების მიზეზებისა და ხასიათის შესახებ და მხედველობიდან არ გამორჩეს საერთაშორისო სამართლის მიხედვით ლტოლვილთა მიმართ არსებული სპეციფიკური ვალდებულებები.

6. ყველა მიგრანტი მართლა თავად „ირჩევს“ თუ არა მიგრაციას?

ფაქტორები, რომლებიც აიძულებს ხალხს გადაადგილებას კომპლექსურია. მიზეზები ხშირად მრავალმხრივია. მიგრანტები შესაძლოა გადაადგილდნენ, რათა გააუმჯობესონ მათი ცხოვრება სამუშაოს პოვნით, ან ზოგ შემთხვევაში განათლების, ოჯახის გაერთიანების ან სხვა მიზეზების გამო. ისინი შესაძლოა ასევე გადაადგილდნენ, რომ შეამსუბუქონ ის მნიშვნელოვანი სირთულეები, რაც წარმოიშვა ბუნებრივი კატასტროფების, შიმშილის ან განსაკუთრებული სიღარიბის გამო.

კონვენცია „დასაქმების მიზნით მიგრაციის შესახებ“ (No. 97), ასევე 1977 წლის ევროპული კონვენციის მიგრანტი მუშაკების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, პირველი მუხლი.

ხალხი, რომელიც ტოვებს საკუთარ ქვეყანას ამ მიზეზებით, საერთაშორისო სამართლის მიხედვით ჩვეულებრივ არ იქნება განხილული როგორც ლტოლვილი.

7. მიგრანტები ასევე იმსახურებენ თუ არა დაცვას?

მიზეზები, რის გამოც მიგრანტები ტოვებენ საკუთარ ქვეყანას ხშირად დაუძლეველია და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და მათი ადამიანის უფლებების დასაცავად გზების პოვნა მნიშვნელოვანია. მიგრანტები დაცულები არიან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით. ეს დაცვა გამომდინარეობს მათი, როგორც ადამიანების, ფუნდამენტური ღირსებიდან.[2] ზოგისათვის ადამიანის უფლებების დაცვის შეუსრულებლობამ შეიძლება იქონიოს სერიოზული შედეგები. ამან შესაძლოა წარმოშვას ადამიანის უფლებების დარღვევა, როგორიცაა სერიოზული დისკრიმინაცია, თვითნებური დაკავება ან დაპატიმრება, ან იძულებითი შრომა, მონობა ან განსაკუთრებით ექსპლუატატორული სამუშაო პირობები.

გარდა ამისა, ზოგი მიგრანტი, როგორიც არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი ან თანმხლების გარეშე ან ცალკე მცხოვრები მიგრანტი ბავშვები, შესაძლოა საჭიროებდნენ განსაკუთრებულ დაცვასა და დახმარებას და ჰქონდეთ უფლება, რომ მათი ეს საჭიროებები დაკმაყოფილდეს. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი სრულად უჭერს მხარს მიგრაციის მართვის მიდგომებს, რაც პატივს სცემს ყველა ადამიანის უფლებას გადაადგილების თაობაზე.

8. არიან თუ არა ლტოლვილები „იძულებითი მიგრანტები“?

ტერმინი „იძულებითი მიგრაცია“ სოციალური მეცნიერებისა და სხვათა მიერ ზოგჯერ გამოიყენება როგორც ზოგადი, ღია ტერმინი, რომელიც მოიცავს იძულებითი გადაადგილების ან არა-ნებაყოფლობითი გადაადგილების ბევრ სახეს - როგორც საერთაშორისო საზღვრებში, ისე ერთი ქვეყნის შიგნით. მაგალითად, ეს ტერმინი გამოყენებულ იქნა ისეთი ხალხის მიმართ, რომლებიც გადაადგილებულ იქნენ ბუნებრივი კატასტროფების, კონფლიქტის, შიმშილის ან ფართომასშტაბიანი განვითარების პროექტების მიზეზად.

„იძულებითი მიგრაცია“ არ არის სამართლებრივი კონცეფცია, და „მიგრაციის“ კონცეფციის მსგავსად არ არსებობს უნივერსალურად მიღებული დეფინიცია. ის მოიცავს ფენომენის ფართო სპექტრს. ლტოლვილები, მეორე მხრივ, მკაფიოდაა განსაზღვრული ლტოლვილთა საერთაშორისო და რეგიონული სამართლის მიერ და ქვეყნები შეთანხმდნენ მათ მიმართ მკაფიოდ განსაზღვრულ და ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ვალდებულებებზე. ლტოლვილების, როგორც „იძულებით მიგრანტებად“ მოხსენიებას ყურადღება გადააქვს ლტოლვილების სპეციფიკური საჭიროებებიდან და სამართლებრივი ვალდებულებებიდან, რომლებზეც ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად

[2] მაგალითად, ადამიანი უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, ასევე სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებები აღიარებს, რომ ყველა ადამიანს, მათ შორის მიგრანტებსა და ლტოლვილებს გააჩნიათ ადამიანის უფლებები.

საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა. გაუგებრობისა და ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი ლტოლვილთა მოძრაობისა და გადაადგილების სხვა ფორმების მიმართ არ იყენებს ტერმინს „იძულებითი მიგრაცია.“

9. რომელია საუკეთესო გზა გადაადგილებაში მყოფი ხალხის იმ შერეული ჯგუფებისადმი მიმართვისათვის, რომელიც მოიცავს ლტოლვილებსაც და მიგრანტებსაც?

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი უპირატესობას ანიჭებს შერეულ გადაადგილებაში მყოფი ხალხის ჯგუფების „ლტოლვილების და მიგრანტების“ ტერმინით მოხსენიებას. ეს არის საუკეთესო გზა იმის გასაცხადებლად, რომ ყველა ადამიანს ამ გადაადგილებაში აქვს ადამიანის უფლებები, რომელიც უნდა იქნას დაცული, შესრულებული; და რომ ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებს აქვთ სპეციფიკური საჭიროებები და უფლებები, რომლებიც დაცულია კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩოთი.

ზოგჯერ პოლიტიკურ დისკუსიებში ტერმინი „შერეული მიგრაცია“ და მასთან დაკავშირებული ტერმინები, როგორიცაა „შერეული ნაკადები“ ან „შერეული მოძრაობები“ შესაძლებელია იყოს სასარგებლო ფორმა ლტოლვილებისა და მიგრანტების ფენომენის აღსანიშნავად (რაც მოიცავს ტრეფიკინგის მსხვერპლ და სხვა მოწყვლად მიგრანტებს), რომლებიც გადაადგილდებიან გვერდიგვერდ ერთი და იგივე მარშრუტებით, ერთი და იგივე დამხმარეების გამოყენებით.

მეორე მხრივ, გაურკვევლობას ქმნის ტერმინი „შერეული მიგრანტი“, რომელიც გამოიყენება ზოგის მიერ, როგორც პირობითი აღნიშვნა ისეთი პირისა, რომელიც გადაადგილდება შერეულ მიგრაციულ ნაკადში, რომლის ინდივიდუალური სტატუსი უცნობია, ან რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს გადაადგილების რამდენიმე, ურთიერთ-გადამფარავი მიზეზები. ამან შესაძლოა გამოიწვიოს არეულობა და შენიღბოს ამ მოძრაობაში ლტოლვილებისა და მიგრანტების სპეციფიკური საჭიროებები. ეს არ არის რეკომენდირებული.

10. რაც შეეხება ლტოლვილებს, რომლებიც ტოვებენ ერთ მიმღებ ქვეყანას და შედიან მეორეში? უმჯობესი არ იქნება მათი, როგორც „მიგრანტების“ მოხსენიება, თუკი ისინი გადაადგილდებიან იმ პირველი მიმღები ქვეყნიდან, სადაც ისინი იმყოფებოდნენ?

ლტოლვილი არ წყვეტს ლტოლვილად ყოფნას, არც ხდება „მიგრანტი“ მხოლოდ იმიტომ, რომ მან დატოვა ერთი მიმღები ქვეყანა და გადაადგილდა მეორეში. პირი არის ლტოლვილი იმიტომ, რომ წარმოშობის ქვეყანაში განიცდის დაცვის ნაკლებობას. ახალ თავშესაფარის ქვეყანაში გადაადგილება არ ცვლის ამას, შესაბამისად, გავლენა არ აქვს ლტოლვილის სტატუსზე. პირი, რომელიც პასუხობს ლტოლვილის სტატუსის კრიტერიუმებს, რჩება ლტოლვილად, მიუხედავად დაცვის ძიებისას გადაადგილების მარშრუტისა ან მათი ცხოვრების ხელახლა აწყობის შესაძლებლობისა და მიუხედავად ამ გადაადგილებაში არსებული სხვადასხვა ეტაპებისა.

UNHCR

15 მარტი, 2016 წ.